საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაჭრობის საერთაშორისო პალატა

ვაჭრობის საერთაშორისო პალატა (International Chamber of Commerce, ICC), საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია. შეიქმნა 1919 და დღეისათვის აერთიანებს ათასობით მსხვილ საწარმოს, ასოციაციას, კომპანიას მსოფლიოს 150-მდე ქვეყნიდან და ხელს უწყობს ბიზნესის წინაშე მდგარი მეთოდური და პრაქტ. ამოცანების გადაწყვეტას. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან, მსოფლიო ბანკთან, სხვა საერთაშ. საფინანსო-ეკონ. ორგანიზაციებთან და წარმოადგენს მათ საკონსულტაციო კოლექტიურ ორგანოს. ვ. ს. პ-ის ადგილსამყოფელია პარიზი (საფრანგეთი). ვ. ს. პ-ის ძირითადი ამოცანებია: ვაჭრობისა და ინვესტირების წესების საფუძველზე ეკონ. პოლიტიკისა და პრაქტიკის სრულყოფის საკითხების თაობაზე შეიმუშაოს რეკომენდაციები, კომერციული საქმიანობის სტანდარტების უნიფიცირებული კოდექსები და წესები, რ-ებიც დაკავშირებულია საერთაშ. ვაჭრობის ლიბერალიზაციასთან. ვ. ს. პ., როგორც ეკონ. თვითმმართველობის საერთაშ. ინ-ტი, თავის საქმიანობას წარმართავს საექსპერტო კომისიების, კომიტეტების, ქვეკომიტეტების და სამუშაო ჯგუფების მეშვეობით. მათი საქმიანობის ძირითადი სფეროებია: საერთაშ. კომერციული ტერმინების განსაზღვრა; საგადასახადო მექანიზმების სტანდარტიზაცია; ინკასოთი საერთაშ. ანგარიშსწორების უნიფიცირებული წესების შემუშავება; სავაჭრო დოკუმენტების უნიფიცირება აკრედიტივებზე, სახელშეკრულებო გარანტიებზე, საარბიტრაჟო სამართალზე, კონკურენციაზე, უცხ. ინვესტიციებზე, გადაზიდვებზე და ა.შ. ვ. ს. პ. ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ატარებს საერთაშ. კონფერენციებს და სემინარებს, რ-თა მეშვეობითაც საზოგადოებამდე მიაქვს ექსპერტთა შეფასებები და სიახლეები. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ატარებს გლობალური მასშტაბის მსოფლიო კონგრესს, სადაც განიხილავენ საერთაშ. გამოწვევებს და პრობლემებს, რ-ებსაც შეიძლება უახლოეს მომავალში წააწყდეს საწარმო ან კომპანია და შეიმუშავებენ სტრატეგიას მათი დაძლევის მიმართულებით. ვ. ს. პ-თან არსებობს 1923

შექმნილი საერთაშ. საარბიტრაჟო სასამართლო (International Court Arbitration), რ-იც განიხილავს საერთაშ. დავებს ვაჭრობის სფეროში. ვ. ს. პ-ის ფარგლებში ფუნქციონირებს 15 საერთაშ. კომისია, მათთან არსებული კომიტეტები და სამუშაო ჯგუფები შემდეგ სფეროებში: საერთაშ. ვაჭრობა და ინვესტიციური პოლიტიკა; ფინანს. მომსახურება; დაზღვევა; დაბეგვრა; ენერგეტიკა; გარემოს დაცვა; კონკურენციის პრაქტიკა და სამართალი; მარკეტინგი და სამართალი; საჰაერო ტრანსპორტი; საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტი; კომპიუტერები, ტელესაკომუნიკაციო და ინფორმაციული პოლიტიკა; საერთაშ. არბიტრაჟი; ინტელექტუალური და სამრეწვ. საკუთრება. გარდა ზემოაღნიშნული საერთაშ. კომისიებისა, ვ. ს. პ-თან ფუნქციონირებს შემდეგი სპეციალიზებული ორგანოები: საერთაშ. საზღვაო არბიტრაჟის მუდმივი კომიტეტი; ექსპერტიზის საერთაშ. ცენტრი; მარკეტინგის პრაქტიკის საერთაშ. ცენტრი; საერთაშ. მეწარმეობის სამართლის და პრაქტიკის ინ-ტი; სავაჭრო პალატების საერთაშ. ბიურო; სამსახური კომერციულ დანაშაულებებზე; საზღვაო თანამშრომლობის ცენტრი. ყოფ. სსრკ-ის ტერიტორიაზე მოქმედებს ეროვნ. პალატები რუსეთში, უკრაინაში, ლიტვაში, ესტონეთსა და საქართველოში (იხ. სტ. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა)

ი. მესხია